| გაზეთის ფასი | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახ. ლი № 9, ბ. ჩიდჟაველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი · საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი · 1877—1887 წელიწადი


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 24 ოქტომბერს.**


დაიბეჭდა და ისყიდება

## დამაკვირდი

ანუ

აფორიზმები, ძველთა და ახალთა ბრძენთა, მეცნიერთა და გამოჩენილთა კაცთა მიერ თქმულნი.

წიგნი შეადგინა „ივერიის“ რედაქციამ.

ფასი ათი შაური.


ტფილისი, 21 ოქტომბერი

ჩვენში და განსაკუთრებით ტფილისში ყველანი იმასა სჩივიან, რომ ვაჭრობა ვაჭრობას არა ჰგავსო და თან და თან მცირდება, სუსტდებაო; რომ ჩვენებური ვაჭრობა სხვა ქვეყნების ვაჭრობას არ წააგავსო. მართლადაც, თუ ამ საჩივარს ყურადღებას ვათხოვებთ და ჩვენებურს ვაჭრობას და ვაჭრების მოქმედებას ჩავუკვირდებით, უეჭველად უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენებური ვაჭრობა ვაჭრობა არ არის, რადგანაც ჩვენს ეგრედ წოდებულს ვაჭრებს არ ესმით რა არის ნამდვილი ვაჭრობა, აღებ-მიცემობა; მართლადაც ჩვენი ვაჭრები ჰფიქრობენ, რომ ვაჭრობა იმაში მდგომარეობს, რომ რომელიმე საქონელი რაც შეიძლება უფრო იაფად იყიდონ და რაც შეიძლება უფრო ძვირად გაასაღონ, გაჰყიდონ, იმისდა მიუხედავად, თუ რა საქონელია ის გასასაღებელი საქონელი. ჩვენებური ვაჭარი სრულიად არ დაეძებს მყიდველის საჭიროებას, ინტერესს; იმისთვის სულ ერთია, გასწვდება თუ არა მყიდველის ჯიბე ვაჭრის მოთხოვნილებას, შესძლებს თუ არა შემდეგში მყიდველი ხელი მიაწვდინოს საჭირო საქონელს. ამიტომაც ჩვენებური ვაჭარი ყოველთვის იმასა სცდილობს, რომ მყიდველს რაც შეიძლება ხელი შეუშალოს; იგი მხოლოდ იმას მისდევს, რომ თავის ფულზე, რომელსაც ვაჭრობაში ატრიალებს, ესა-და-ეს სარგებელი აიღოს, თუნდაც ეს ფული სრულიად უნაყოფოდ ედვას უჯრაში რამდენსამე წელიწადს; ის-კი არ ესმის, რომ თუ ნაკლებს სარგებელს დასჯერდა და ის ფული ორჯელ-სამჯერ დაატრიალა ვაჭრობაში, მაშინ მომეტებულს სარგებელს აიღებს, მყიდველსაც შეღავათი მიეცემა და გეეხსნება გემო ამა-და-ამ საქონლისა. ჩვენი ვაჭრები იმას ივიწყებენ, რომ ევროპიელნი ნამდვილნი ვაჭარნი იმას მისდევენ, რაც შეიძლება ხშირად დაატრიალონ ხოლმე ფული ვაჭრობაში და მყიდველებს ხელი მოუმართონ სარგებლის დაკლებითა; ხალხს, საზოგადოებას გემო გაუხსნან და ამით საქონლისათვის უფრო ვრცელი ბაზარი მოიპოვონ. ჩვენმა ვაჭრებმა არც ის იციან, რომ ნამდვილი ვაჭრობა დუქანში, ან მაღაზიაში ჯდომა და თან თვლემა-კი არ არის, არამედ რომლისამე ქვეყნის აღებ-მიცემობის გაძლიერება, გავრცელება.

მართლადაც ჩვენი ვაჭრობა მხოლოდ დუქანში, მაღაზიაში ჯდომა და თვლემაა, ასე რომ თუ მუშტარი თავზე წააწყდა ვაჭარს და თან თუ მოატყუვდა კიდევაც, ამის მეტი ხომ აღარ არის საჭირო ვაჭრისათვის. აბა, განა იშვიათი არ არის ჩვენში ისეთი ვაჭარი—კაპიტალისტი, რომლებიც ეკიდებოდნენ რომელსამე საქმეს მზრუნველად. მართალია, აქა-იქ შევხვდებით ხოლმე თითო-ოროლა ვაჭრებს, რომლებიც ჰმართავენ ხოლმე ქარხნებსა, ფაბრიკებსა, მაგრამ აქაც ის ზნე-ჩვეულება შემოაქვთ, რომლითაც დუქანსა და მაღაზიაში ხელმძღვანელობენ. განა სამწუხარო არ არის, რომ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრე ვერ გამოგვიყენებია? აბა დავუხედოთ, რა გაუკეთებიათ ჩვენს „კაპიტალისტებს“ იმისათვის, რომ ქვეყნის ბუნებური სიმდიდრე თვითონვე შეემუშავებინათ? განა კავკასიაში შეუძლებელია უფრო მკვიდრს ნიადაგზე დააყენონ მრეწველობა და ვაჭრობა, გაჰმართონ ევროპიულად მოწყობილი ქარხნები და ფაბრიკები? განა არ შეიძლებოდა, რომ ზოგიერთს საქმეში მაინც კამათობა გაუწიონ ევროპიელ კაპიტალისტებსა და ვაჭრებსა? მაგალითად, ნუ თუ ჩვენში შეუძლებელია რიგიანის წუმწუმისა ან სხვა რომელისამე ქარხნის გამართვა? ეჭვი არ არის, რომ ყოველივე ესე უფრო შესაძლებელია, ვინემ ზოგიერთ საქონლის ცხრა მთას იქიდგან მოტანა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ საქმის ამ რიგად საწარმოებლად საჭირო შრომა, გონების გამჭრიახობა, დაკვირვება და ამაებს-კი მოკლებულნი ბრძანდებიან ჩვენი ვაჭრები, რომლებიც თავის მოხერხებას, გამჭრიახობას და შრომას იმას ანდომებენ, რომ რაც შეიძლება ნაკლებად იღვაწონ, რაც შეიძლება მეტი მუშტარი მოატყუონ, უვარგისი, დამპალი საქონელი გაასაღონ.

როგორც ზემოდა ვსთქვით, თითო-ოროლა ფულის პატრონებმა აქა-იქ გაჰმართეს ქარხნები, ფაბრიკები, მაგრამ ეს ქარხნები და ფაბრიკები სრულიადაც ვერა ხეირობენ, რადგანაც ისინი აგებულნი არიან მხოლოდ თავისის ნაწარმოების სიძვირეზე, მუშტრის მოტყუებაზე. გაჰმართვენ რომელსამე ქარხანას და საქონელს-კი უფრო ძვირად ჰყიდიან, მერე ისეთს საქონელს, რომ უცხო საქონლის ფრჩხილადაც არა ღირს. ასე და ამ გვარად უცხო საქონელი ჩვენში ბევრად უფრო იაფად იყიდება, ვიდრე ადგილობრივი ნაწარმოები. ადგილობრივს თითქმის არავითარი ღირსება არა აქვს, და ამის შემდეგ მოდით და გაიკვირვეთ, თუ მყიდველთ უცხო ნაწარმოები ურჩევნიათ ადგილობრივსა, თუ რომ ადგილობრივი წარმოება დღითი-დღე უძლურდება და ბ-ნი „კაპიტალისტები“ კოტრდებიან და იძულებულნი არიან ისევე დუქანს მიუბრუნდნენ.

ჩვენის აზრის დასასაბუთებლად ქვემოდ მოგვყავს ერთი ამბავი, რომელიც ერთმა ჩვენმა კარგად ნაცნობმა მოგვაწოდა. ამ ჩვენს ნაცნობს, დიდის მოთმინების პატრონს, უანგარიშნია, თუ როგორ ვაჭრობს ტერ-ასატუროვის ქარხანა წუმწუმითა.

საჭიროდ არა გრაცხთ ეს ამბავი აქ განვიმეოროთ და მკითხველს ვთხოვთ თვითონვე ამოიკითხოს იგი და შემდეგ ჩვენს აზრსაც ჩაუკვირდეს.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ტფილისში ამ ჟამად იყიდება ტერ-ასატუროვის ქარხნის წუმწუმა იმ გვარი, რომელსაც შვედისას ეძახიან. ათი კოლოფი, ერთად შეკრული, ღირს 8 კაპეიკი. საკმაოდ კარგი წუმწუმაა და სასიამოვნოა, რომ ჩვენში ახალი ქარხანა გაიმართა. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ რუსეთიდამ მოტანილზე ძვირია და ამიტომ, ვგონებთ, გასავალი არ უნდა ჰქონდეს მაგდენად. რუსეთის წუმწუმის თორმეტი კოლოფი 15 კაპეიკად ღირს. თითო კოლოფში 130 ცალამდე ჩხირია და თორმეტში თითქმის 1560 ცალი; ტერ-ასატუროვის ქარხნის თითო-კოლოფში 55 და ათში 550 ცალი. ამის გამო თითო კაპეიკად რუსეთის წუმწუმა მოდის 104 ცალი, ტერ-ასატუროვისა 68, ან 69. ამ გვარად ათი კოლოფი ტერ-ასატუროვის წუმწუმისა $5^1/_3$ კაპეიკზე ნაკლებ უნდა იყიდებოდეს, რომ რუსეთისას შეედაროს ფასითა. ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ რუსეთის წუმწუმა, რაზედაც გინდა გაჰკრა, აინთება და ტერ-ასატუროვისა-კი მხოლოდ თავის კოლოფზე გაკვრით ინთება. ეს სიძნელე შეაფერხებს გავრცელებას. ამ გვარად, თუ ყველა ესენი მოვისაზრეთ, ტერ-ასატუროვის წუმწუმა მაშინ დაიჭერს მოტანილ წუმწუმის ადგილს, როდესაც 5 კაპეიკზე ნაკლებად გაიყიდება. სასურველია, რომ ამ ახალ ქარხანას ასე მოევლოს თავისი საქმე და ანგარიში, თორემ უანგარიშობა დასძლევს და ერთხელ კიდევ ჩივილს გავიგონებთ: ჩვენში ქარხნის გამართვა ვერა ხერხდებაო.

*** ჩვენს მკითხველებს ეცოდინებათ, რომ საქართველოს ეგზარხოსად დაინიშნა ყოვლად უსამღვდელოესი პალადი, მთავარ-ეპისკოპოზი ყაზანისა. პალადი დაიბადა ნიჟეგოროდის გუბერნიაში. გვარი მისი არის რაევი. 1852 წელს მან შეასრულა ყაზანის სასულიერო აკადემია და მიიღო ხარისხი სამღვთო წერილის მაგისტრობისა. 1856 წელს ეკურთხა მღვდლად, მაგრამ დაქვრივდა 1861 წელს და შევიდა ბერად. მეორე წელსვე მიიღო მთავარ-არხიმანდრიტობა. 1864-დამ 1866 წლამდე მსახურობდა რექტორად პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში. 18 დეკემბერს 1866 წ. მიიღო ეპისკოპოზობა ლადოგისა; სამის წლის შემდეგ კიდეც ჩააბარეს საკუთარი ეპარქია ვოლოგდისა. 1876 წ. ჩააბარეს ტამბოვის ეპარქია, შემდეგ რიაზანისა და ბოლოს, როდესაც ყოვლად უსამღვდელოესი იოანიკი გადაიდა მიტროპოლიტად მოსკოვში, უნდოდათ საქართველოს ეგზარხოსად დაენიშნათ პალადი, მაგრამ მის მაგიერ ეგზარხოსობა ჩააბარეს მთავარ-ეპისკოპოზს პავლეს და პალადის-კი დაუნიშნეს ყაზანის ეპარქია 1882 წელსა, სადაც უკანასკნელ დრომდე აღსრულებდა თავის მოვალეობას.

*** გუშინ, 20 ოქტომბერს, ცხენმავალას ვაგონში განმეორდა ის სისაძაგლე, რომელსაც კვლავაცა ჰქონია ადგილი. ერთი ქალი დაჯდა ვაგონზე და ხურდა რომ არა ჰქონდა, მანათიანი მისცა კონდუქტორს. ამან ხურდა არ დაუბრუნა—ჯერ არა მაქვს, შემდეგ მოგცემო. აგერ ყველას ჩამოუარა, ფული მანათზე მეტი მოაგროვა, ქალი ელოდება—ან ეხლა მომცემს, ან ეხლაო. კონდუქტორი ყურსაც არ იბერტყავს. ქალმა ხმა-მაღლა მოაგონა ერთხელ, ორჯელ, სამჯერ. უცებ კონდუქტორი გადახტა ვაგონიდამ და იმის ადგილზე შემოჯდა სხვა კონდუქტორი. აქ-კი ქალმა და ყველა მგზავრებმა უბრძანეს „კუჩერს“—ვაგონი გააჩერეო. ვაგონი მაშინვე შედგა. ქალმა უსაყვედურა, რომ ეს მესამედ მიშვრებით მაგეთს საქმესა, ღმერთი არა გაქვთო. ხალხის მუქარაზე კონდუქტორი თავსა მართლულობდა, რომ ისე ტყუილად გადავხტი, მერე ისევ დაგეწეოდით და თქვენს ფულს ჩაგაბარებდითო. ვინ იცის, იქნება მართლა თამაშობისა და თოხარიკის გუნებაზე იყო კონდუქტორი და იმიტომ არ იძლეოდა ხურდასა?..

*** ჩვენის რედაქციის მიერ დაბეჭდილი წიგნი „დამაკვირდი“ უკვე ისყიდება ჯერ ხანად „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში. წიგნის ფასი ათი შაურია.

*** ბ-ნ ა. ნათაძეს გადმოუკეთებია რუსული დრამა „Чары Любви“ და აპირობს წარუდგინოს დრამატიულ საზოგადოებასა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ მოკლე ხანში ჩარკვიანი დაჰბეჭდავს ქართულს გრამატიკას, რომელიც შეუდგენია ბ-ნ არ. ქუთათელაძესა.

*** ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძემ შემოსწირა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს სამი № 11, 15 და 16 გაზ. „გუთნის-დედა“ 1870 წ. და ერთი არხეოლოგიური ნივთი, შუშის რგოლი, რომელიც სასაფლაოში უპოვნია, სოფ. თაელნისში, ბ-ნ ნიკო ხუციშვილს. საზოგადოება მადლობას უცხადებს შემომწირველსა.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ბ-ნმა ვ. ჭილაძემ, ზოგიერთების დახმარებით, შეადგინა საკმაოდ ვრცელი კალენდარი ქართულს ენაზე და მომავალის წლისათვის აპირობს დაბეჭდოსო.

*** დედოფლის-წყარო: თუ ამას წინად გაცნობეთ, რომ 5-ს ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, აქ გაჩნდა ცეცხლი, ათს ამ თთვისას, ღამის 12 საათზედ კიდევ გვეწვია ეს საშინელი სტუმარი, ცეცხლი მოეკიდა ეფიმ ლიუზჩენკოს ქვრივის სახლსა. როგორც ლაპარაკობენ, ეს ცეცხლი შემთხვევით არ გაჩენილა. იმ ღამეს ნიავი იყო. იმ დროს, როდესაც ყველანი ძილად ყოფილან მისვენებულნი, თურმე ვიღაც ბოროტ-გამზრახველს წაუკიდებია ფიჩხით მოწნულ და ჩალით დახურულ სარაიისათვის ცეცხლი იმ მხრიდან, საიდგანაც ნიავი უბერავდა. რადგანაც სახლიც ზედ იყო მობმული სარაიაზედ, ბოროტ-გამზრახველს ისა ჰქონია აზრად, რომ სახლიც უეჭველად უნდა გადამწვარიყო შიგ მყოფებითურთ. სახლი ჩალით იყო დახურული. როდესაც ცეცხლი გაბრიალებულიყო და სარაიიდგან სახლსაც მისდებოდა, იმ დროს მამაელმა „იამშჩიკმა“ დაინახა, რომ სახლის პატრონი და მშველელი არავინა სჩანს, მაშინათვე შევარდა ეზოში და მორთო ყვირილი: „გამოდით ჩქარა, სახლს ცეცხლი ეკიდებაო“. შეშინებული სახლის პატრონი, ანისია, კარებს ეძგერა, მაგრამ კარები გარედან გადარაზული დახვდა. მეტს ფიქრს აღარ მისცა თავი და სარკმლიდან გადმოხტა. ყვირილზედ ხალხი მრავალი შეიყარა, მაგრამ ველარა გადაარჩინეს-რა, ერთის სკივრისა და სამოვარის მეტი, სავსე სახლი ცეცხლმა სრულებით შთანთქა. სარაიაში დარჩომილიყო ერთი ფური და ისიც დაიწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** სიღნაღის მაზრა: სოფ. ბაკურციხეში წელს ვერ დაემდურებიან მოსავალსა. პურიც საკმარისი მოვიდა და ღვინოც. ღვინო თავის ღირსებით წელს სანაქებოა, ნამდვილი ვაჭრები ღვინისა ჯერ არ ჩამოსულან, თუმცა ჩარჩები დაწრწიან სოფლიდამ სოფელში და აწუხებენ გლეხობას. ჩარჩების გარდა აქაური მედუქნეები მეტად თავის ნებაზე მოქმედობენ; ამათ არ გააჩნიათ არც ნიხრი, არც რიგიანი ასაწონი ქვები, არც საწყაოები. მართალია, მამასახლისი წელს ახალი ამოირჩიეს, მაგრამ ესეც ძველსავით ყურს არ ათხოვებს იმ უწესოებას, რომელიც სუფევს ბაკურციხის აღებ-მიცემობაში, მაშინ-როდესაც ამ აღებ-მიცემობის სიმართლეზე ჰკიდია ავი და კარგი ჩვენის გლეხობისა.

*** ანდრიას ქუჩაზე, ფინის სახლში, 20 ოქტომბერს ანაზდეულად გარდაიცვალა მეუღლე ინჟენერ-ტეხნოლოგისა, ნატალია ბლაგოვეშჩენსკაია, 26 წლისა.

*** 21 ოქტომბერს ფაიტონი მე-198 №-რი ძალიან ჩქარა მიდიოდა. დაეჯახა 6 წლის ყმაწვილს, მათადოვის შვილსა, და ქვეშ მოიგდო. ამის გამო მეეტლე ანდრია ბოშანოვი სამართალში მისცეს.

---

გუშინ ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ განსვენებულ ალექსი კვალიაშვილის დასაფლავებაზე გორში სხვათა შორის ბ-ნმა ნ. ლომაურმაცა სთქვა სიტყვა. ბ-ნ ლომაურის ნათქვამს ვბეჭდავთ სიტყვა-სიტყვით:

„ყოველს თქვენგანს, უპატივცემულესო მსმენელნო, საკუთარის გამოცდილებით ეცოდინება, თუ რა გვარს მდგომარეობაშია ადამიანი მაშინ, როდესაც მას ესმის რაიმე მეტად სასიამოვნო ამბავი; როდესაც მის სულსა და გულზედ შთაბეჭდილებას ახდენს რომელიმე დიდად სასიხარულო მოვლენა. კმაყოფილებით ავსებული გული ადამიანთა საზოგადოებას ერიდება ამ დროს: ეძიებს განმარტოებულს ალაგს, რომ აქ თავისუფლად წარმოიდგინოს მიზეზი, საგანი ამ კმაყოფილებისა, სულიერის თვალით უცქიროს მას და დაატკბოს მთელი თავისი არსება ამ ცქერითა!.. ამ გვარს მდგომარეობაში მყოფ კაცთან რომ მივიდეს ვინმე და თვით უმაღლესს, საგანგებო საგნებზედ დაუწყოს ლაპარაკი, მაშინაც-კი იგი ან ხმას სრულიად არ გასცემს და ან თუ ძალა-უნებურად დაიწყო ლაპარაკი, მისი ბაასი გამოვა ნაწყვეტ-ნაწყვეტი, უკავშირო, ულაზათო. ასე ძნელია დარბაისლური მსჯელობა მაშინ, როდესაც თქვენი ხული რაიმე სიამოვნებას მოუცვამს. ამაზედ ერთი-ორად და ერთი-ათად უფრო ძნელი ყოფილა ლაზათიანი სიტყვა-პასუხის წარმოთქმა იმ დროს, როდესაც თქვენს სულსა და გულს მძიმე ლოდივით რაიმე ნაღველი, რაიმე სევდა თავს დასწოლია და მიზეზი ამ სევდა-ვარამისა მთელის თავის შესაზარის სახით თქვენს თვალს საშიშრად წინ აჰყუდებია. აი, ამის გამო ჯერ პირველად შენის წმინდა აჩრდილის წინაშე, დაუვიწყარო ალექსი, და შემდეგ თქვენის განათლებულის ყურადღების წინაშე, უპატივცემულესო მსმენელნო, თავ-მდაბლად ბოდიშს ვიხდი, თუ რომ ჩემი უბრალო, მოუმზადებელი სიტყვა ვერ გამოვიდეს შესაფერი იმ ღირსეულებათა, რომლებითაც ასე უხვად იყო დასაჩუქრებული ბუნებისაგან განსვენებული ალექსი კვალიაშვილი. „განსვენებული ალექსი“-მეთქი... ნუ თუ მართლა ამ დროიდამ ალექსი კვალიაშვილის სახელი მხოლოდ განსვენებულთა რიცხვში უნდა იხსენიებოდეს!.. ნუ თუ უნდა დამიწდეს ის გონება, რომელიც ყოველს ახალს სწავლას, ახალს აზრებს ახალგაზდურის მხნეობით და სურვილით ეწაფებოდა და მათში შემჩნეულს ყოველს სიკეთეს უმატებდა ხანგრძლივის შრომით შემოკრებილს და რიგზედ დაწყობილს თავის სულიერ საუნჯეს?! ნუ თუ უნდა დადუმდეს ის ენა, რომელიც ყოველს შემთხვევაში სიმართლის, ჭეშმარიტების პირდაპირი მაღიარებელი იყო და რომელსაც მოძმეთა სასარგებლოდ არა ერთხელ გამოუფენია ის სულიერი საუნჯე, რომელიც ზევით მოვიხსენიე?! ნუ თუ უნდა დასდგეს ის გული, რომელიც იმავ თაობითვე თავის ერის და ქვეყნის სიყვარულით იყო სავსე და მარად სძგერდა პატიოსნებისა და სინიდისისათვის!.. გონებას და გულს ამ კითხვებზედ უარ-საყოფი პასუხი ენატრება, მაგრამ მათსა და გარეშე ქვეყნის შორის მოამბეთ განწესებული გრძნობანი სევდით სავსე პასუხს იძლევიან და მწუხარედ გაიძახიან: მოკვდა, გათავდა, სამუდამოდ მოშორდა ამ უკუღმართ წუთი-სოფელს, სადაც ასე თამამად პარპაშობენ ყოველ ნაირი სისაძაგლენი, ბოროტებანი, უსამართლოებანი! დიაღ, ბატონებო, ნელ-ნელა თხელდება ის მცირე გუნდი თეთრის თმით დაფარულ მოხუცებულთა, რომლის წარმომადგენელნი მართალია შავსა და ბნელს დროს დაიბადნენ და აღიზარდნენ, მაგრამ თავიანთ ხასიათის და მიმართულების სიმტკიცით, ვაჟკაცურის მხნეობით და გაბედულობით ძველის დროის ქართველებს, ნეტარ-ხსენებულ წინაპართ გვაგონებენ!. დღეს ამ გუნდს მოაკლდა ერთი თვალ-საჩინო წევრიც: მოგვიკვდა ალექსი კვალიაშვილი!. მაგრამ რაოდენი განსხვავებაა პატიოსანის კაცისა და უხეირო, უსარგებლო ადამიანის სიკვდილის შორის!! მას აქეთ, რაც ადამიანს უცვნია თავისი თავი, მოდის და მოსტირის იგი ამ დაუდგრომელ წუთი-სოფელს. გულ-მოდგინებით ეძიებს იგი ამ ქვეყნად ბედნიერებას და რადგან ნაცვლად ბედნიერებისა, მას ყოველის მხრიდამ სხვა-და-სხვა სახის უბედურებანი ელობებიან წინ, ამის გამო უკმაყოფილოდ და გაშმაგებით იძახის: არ არის ამ სოფლად ბედნიერება; და ამ გმინვას მწუხარედ ბანს აძლევენ მრავალი საუკუნოები! მაგრამ ნუ თუ საფუძვლიანია, ნუ თუ მართალია ეს ძახილი? ვგონებ, რომ არა! მაშ რა არის, თუ ბედნიერი არ არის ის კაცი, რომელსაც ეკლიანი გზა ცხოვრებისა ტანჯვა-ვაებით გაუვლია და მაინც მის სინიდისს, მის პატიოსნებას ჭუჭყი ამ ცხოვრებისა არ მიჰკარებია! ჭეშმარიტად ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც პირადი ანგარიშები საქვეყნო მზრუნველობისათვის დაუმორჩილებია და მთელი თავისი დღენი, შეძლებისადაგვარად, სამშობლო ერის სამსახურში გაუტარებია!

ამბობენ, რომ სიკვდილის ჟამს ადამიანის თვალ-წინ მთელი მისი წარსული ცხოვრება ბოხჩასავებ გადაიშლებაო! რაოდენ სიამოვნებას იგრძნობს ამ დროს პატიოსანი მომაკვდავი, როდესაც მის თვალს ყოველი მისი კეთილი საქმენი ერთბაშად წინ წარმოუდგებიან!!. და რაოდენი ტანჯვა-ვაება, გამოუთქმელი მწუხარება უნდა იგრძნოს იმ საბრალო უბედურმა ადამიანმა, რომელსაც თავისი დღენი მოძმეთა ჩაგვრა-ღალატში, ბოროტ საქმეების ჩადენაში, სინიდისის და პატიოსნების გაუწმინდურებაში დაულამებია!! ვგონებ, რომ ჯოჯოხეთის ცეცხლი და კუპრი იმაზედ მეტს ველარას უზმენ მას, რასაც ამ სოფლადვე სიკვდილის წამს იგრძნობს იგი!.

თქვენთვის, ბატონებო, ვგონებ საჭირო არ არის განმარტება იმისი, თუ ალექსი კვალიაშვილის სიკვდილი რომელს ამ ორ ნაირ სიკვდილთაგანს ეგვანებოდა. ის სახელი, რომელიც განსვენებულს ალექსის მოპოვებული ჰქონდა საზოგადოებაში; ის პატივის-ცემა, რომლითაც წევრნი ამ საზოგადოებისა შესცქეროდნენ მას; ის გულ-წრფელი მწუხარება, რომელიც ამ კაცის სიკვდილმა აღძრა ყოველ ჩვენთაგანის გულში, ვგონებ ცხადად გვაჩვენებს, თუ რა გვარი კაცი ყოფილა ალექსი კვალიაშვილი, როგორ გაუტარებია მას თავისი დღენი და რა ნაირი საქმეები წაუმძღვარებია წინ იმის მადლით მოსილს სულსა!..

გამოცვლა აზრებისა და მიმართულებისა, ცხოვრების მიზნისა და იდეალებისა დიდად სანაქებოა, თუ-კი ეს ცვლილება გაუმჯობესობის ნიადაგზე ხდება და ჭეშმარიტის წინ-წასვლის მომასწავებელი არის; მაგრამ თუ ცვლილება საუარესოდ ხდება და უკან დაწევის, სულისა და აზრის დაცემის, ანუ ერთს წერტილზედ შეჩერების ნიშანია, მაშინ ყოველივე ცვლილება ადამიანის დამამხობელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს და მაშასადამე დასაძრახისი და გასაკიცხავია... საუბედუროდ, ეხლანდელ დროის ქართველობაში ბევრნი არ გამოირჩევიან იმისთანანი, რომელნიც ამ გაკიცხვისა და დაძრახვის ღირსნი არ იყვნენ. განსვენებული ალექსი ამ მხრივ სწორედ სამაგალითო, მისაბაძავი კაცი იყო. თუმცა ბევრ ნაირს შევიწროებას ითმენდა, მაგრამ ეს მაინც მტკიცედ ადგა იმ პატიოსნების და ჭეშმარიტების გზას, რომელზედაც გარემოებათ ისევ სიყმაწვილეშივე დააყენეს იგი. რასაკვირველია, დრო და ხანი იმის უმთავრეს რწმუნებათ ანვითარებდნენ, ფართო მიმართულებას აძლევდნენ, მაგრამ მათი წმინდა შინაარსი, მათი დედა-ზრი-კი მარად და მუდამ ხელ-უხლებლად რჩებოდა. ქვითკირის ბურჯივით უდგა მათ ეს სნეული, ჯან-მიხდილი კაცი და ყველგან და ყველას წინაშე გაბედვით ჰქადაგობდა მათზედ. ამისთანა კაცის დაკარგვა, მომეტებულად ამ დროში, ჭეშმარიტად საზოგადო უბედურებად უნდა ჩაითვალოს! კერძოდ ჩვენ, გორელებს, ხომ უფრო ცუდი საქმე მოგვივიდა! ჩვენ დავკარგეთ არა მხოლოდ განათლებული პატიოსანი ქართველი, არამედ ამასთანავე მოსიყვარულე მამა, გამოცდილებით და ცოდნით დამშვენებული მეგობარი, გულ-მაგარი და გამამხნევებელი მოძმე. ვინატრი სულით და გულით, რომ შენი სანაქებო თვისებანი, დაუვიწყარო ალექსი, მტკიცედ ჩანერგოდეს გულში ყოველს ჩვენგანს!.. ვინატრი, რომ ის წმინდა თესლი, რომელსაც შენ ისეთის უანგარობით და გულ-წრფელობით სთესდი ახალგაზდობის სულსა და გულში, სამერმისოდ კეთილად აღმოცენებულიყვეს და მოეტანოს სამშობლო ქვეყნისათვის ნაყოფი, შესაფერი მთესვარისა!

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო, დაუვიწყარო ალექსი!

---

## წერილი ბათუმიდამ

თქვენი რა მოგახსენოთ და ჩვენსკენ-კი ძალიან ქესატობაა; აქაურს სოვდაგრებს თავ-პირი ჩამოსტირით. ამ წვრილმანმა ვაჭრებმა ხომ გაგვიჭირეს საქმე, როგორც უნდათ, ისე ჰყიდიან ყველაფერს სანოვაგეს, ამათთვის არც ნიხრი და არც წესი არ არსებობს. ყველა ამის მიზეზი ის არის, რომ დღემდის ბათუმს არ ჰღირსებია თვით-მმართველობა. მთელის ქალაქის მრავალ გვარი საქმეები სულ პოლიციის ხელშია. პოლიცია განსაკუთრებით დაწესებულებაა, რომელიც გუშაგია მყუდროებისა და კეთილ განწყობილებისა. სადა აქვს ლონე ამ დაწესებულებას, გასწედეს ქალაქის ამოდენა რთულს საქმეებს? საკვირველია, ღმერთმანი, რომ ბათუმში აქამდის არ დააწესეს თვით-მმართველობა, როდესაც ქალაქს ასი ათასზე მეტი შემოსავალი აქვს. რაც ბათუმი ჩვენ ხელში გადმოვიდა, მასუკან ქალაქის შემოსავალ-გასავლის საქმეებს სულ პოლიცია განაგებდა. ახლა-კი გვეღირსა რევიზია, რომელიც აღმოაჩენს, რა გაუკეთებია პოლიციას ცხრა წლის განმავლობაში. რევიზია სასტიკის ყურადღებით ექცევა ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს. ჯერ-ჯერობით-კი აღმოჩნდა, რომ ოცი ათას მანეთზე მეტი ყოფილა გაფლანგული ქალაქის შემოსავლიდგან და ამის გამო ერთი დეპუტატი ქალაქისა პროკურორის განკარგულებით დააპატიმრეს. ამ დეპუტატს, ბ-ნ ყაზინგებს, ებარა ნავთ-სადგურის ნაპირი, საიდგანაც დიდი შემოსავალი უნდა ჰქონოდა ქალაქს. ჯერ არ განუხილავს რევიზიას სხვა წყაროები შემოსავლისა. ამბობენ, რომ დიდ-ძალი ფულიაო გაფლანგული. თუ დავუჯერეთ გონივრულს ანდაზას „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“, დაპატიმრებულს დეპუტატს ქალაქ ბათუმისას ბევრი სხვა ამხანაგები ეწვევიან საპატიმროში.

ურემი რო გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო.—ამისი არ იყოს, დღეს ბათუმის მოქალაქეთ პირდაპირ დაიწყეს ლაპარაკი ბევრ გვარს უწესო საქმეებზე, რომელიც ვითომ ქალაქის დეპუტატებს ჩაედინოთ. ამ სასტიკ რევიზიის გამო ბევრს მისდის და მოსდის ფერი. ეს ესეც უნდა იყოს, რადგანაც რევიზიის მწარმოებლად ბათუმის მომრიგებელ-მოსამართლეა, განვითარებული, პატიოსანი და საშინელის შრომის მოყვარე რევიზორი ბათუმის პოლიციისა, ანუ, უკედ ვსთქვათ, ბათუმის დეპუტატებისა, უეჭველია ყურადღებას მიაქცევს სხვათა შორის იმ გარემოებასაც, რომ ქალაქის ქუჩებს რო აგებდნენ ქვა-ფენილით, ნახევარს ხარჯს ახდევინებდნენ სახლის პატრონებს. ამბობენ, რომ დავთრებში ეს ხარჯი სულ ქალაქის შემოსავლიდგან არის ნაჩვენებიო. ბევრს სხვასაც რასმე ამბობენ, მაგრამ ჯერ ადრე იქნება ჩვენის მხრივ ამაებზე ლაპარაკი. სასტიკი, მიუდგომელი რევიზია ყველაფერს აღმოაჩენს. ის-კი უნდა მოვიხსენიოთ, რომ მართალია, ძნელი ყოფილა, როცა ქალაქის საქმეებს განაგებენ ისეთი კაცები, რომელთაც არც თვით-მმართველობისა და არც ავისა და კარგისა არა გაეგებათ-რა.

ამოდენა ფული დაიხარჯა ქალაქის სამკურნალოზე, მაგრამ ძალიან უხერხულო და შეუსაბამო ადგილას-კი გააკეთეს. თუ სხვა ადგილობრივ პირობათ, რომელნიც ხელს უშლიან სამკურნალოს, თავი დავანებეთ, ის მაინც უნდა მოვიხსენიოთ, რომ მკვდრთა ცხვირ-წინ აუშენებიათ ანატომიური თეატრი, სადაც თითქმის ყოველ დღე სჭრიან გახრწნილს გვამებს. კაი ნუგბარი კია, სწორე მოგახსენოთ, ზაფხულში ბათუმის ის ნაწილი, სადაც სამკურნალო არის! მარტო ბუზებს ვინ აუვა!? ღარიბთა თავშესაფარსაც აკეთებდნენ, მაგრამ დღეს შეჩერებულია შენობის კეთება, უთუოდ იმიტომ-რომ ამ საქმის იჯარადარი დააპატიმრეს ფულების გაფლანგვის გამო.

ბათუმში რომ უცხო კაცი მოვიდეს, იმის ყურადღებას გარეგნობით მიიპყრობს ეკკლესიების რიცხვი. როცა იკითხავს, ვისი და ვისია ეკკლესიები, მაშინ მიხვდება, რა-და რა ერის ხალხი სცხოვრობს აქა: მეჩეთი, სინაგოგა, ბერძნის ეკკლესია, სომხისა, კათოლიკებისა და რუსებისა. ამ გვარადვეა განაწილებული სკოლებიც. ამ წესით რო ვიანგარიშოთ, ბათუმში ქართველობა არ უნდა იყოს. სადაც-კი ხალხი დაბინავდება, უსათუოდ ეკკლესიას და სკოლას დაარსებს, აქაც ისეა. ბერძნები, სომხები, ურიები საკუთარის ხარჯით ინახვენ ადგილობრივს სკოლებსა. ქართველები-კი... ეჰ... ერთი თვეა წარმოდგენას აპირებენ ადგილობრივის სკოლის სასარგებლოდ და ვერ მოუხერხებიათ, როდესაც სომხები წარმოდგენას წარმოდგენაზე ჰმართავენ თავიანთ სკოლის სასარგებლოდ.

თუ მოეხსენება მკითხველს, ბათუმში სამოქალაქო სასწავლებელიც არსებობს. კანონის ძალით როცა მოწაფეთა რიცხვი 15 მეტი იქნება, მაშინ ამათ სამშობლო ენის მასწავლებელიც უნდა დაენიშნოთ. ამ სასწავლებელში 15 მეტი ქართველი სწავლობს და იმედი აქვთ, რომ მალე ქართულსაც ასწავლიან.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სკოლაში უკვე მიიწვიეს მაჰმადის რჯულის მასწავლებელი. ათი მაჰმადიანი ქართველი სწავლობს ამ სკოლაში, ხოჯის ჯამაგირისათვის საჭირო ფულს აგროვებს ამ სკოლის სამზრუნველოს თავ-მჯდომარის კანდიდატი, ბ-ნი მ. ლორთქიფანიძე. ამ საქმეში ეხმარება თავადს ლორთქიფანიძეს ვიცე-გუბერნატორი თავადი ნ. ბ. ერისთავიც. ორივენი დიდის მადლობის და თანაგრძნობის ღირსნი არიან. ღმერთმა ჰქნას, ამათ სხვებმაც მიჰბაძონ ჩვენში.

ბათუმელი

---

## ბიბლიოგრაფია

(ექიმობა და დარიგება. ქალის ავადმყოფობანი ორსულობის დროს და მის შემდეგ. შედგენილი საგარეჯოს მასწავლებლის ალექსანდრე ცხვედაძის მიერ).

ამას წინად „ივერიაში“ (№ 210) ორიოდე სიტყვა იყო მოხსენებული ერთს პაწია წიგნაკზე, რომელიც სოფელ საგარეჯოს მასწავლებელს, ბ-ნს ალ. ცხვედაძეს, შეუდგენია და რომელიც კისრულობს ექიმობასა და დარიგებას ორსულობის დროს. ეჭვი არ არის, რომ დიდად საჭიროა, მეტადრე მდაბიო ხალხში, გონიერი საექიმო ცოდნისა და დარიგების გავრცელება და ამისათვის ლამაზის, ადვილად გასაგების ენით დაწერილი შესა-

ფერი წიგნები. შეიძლება განათლებული ქართველი ექიმები დიდის საყვედურის ღირსნი ვიყვნეთ, რომ არ ვაკმაყოფილებთ ცხოვრების ისეთს მოთხოვნილებას, რომელიც ყოვლის უწინარეს ჩვენ შეგვეხება; შეიძლება ჩვენ ვერაფრით ვიმართლოთ ამაში თავი და არა გვქონდეს შესაწყნარებელი საბუთი, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ რიგიანის სახალხო წიგნის შედგენა მეტად ძნელი საქმეა, თუ მეტადრე იგი შეეხება ისეთ სპეციალურს საგანს, როგორც გახლავთ, მაგალითად, ექიმობა. მართალი მოგახსენოთ, ძალიან მაკვირვებს სოფლის მასწავლებელი, რომელიც გაბედულად იღებს ხელში კალამს და ბეჭდავს საექიმო დარიგებას.

კრიტიკისაგან დიდი ხანია ჭეშმარიტებად აღსარებულია, რომ ბავშვებისათვის წიგნის შედგენა უფრო ძნელია, ვინემ ჩვეულებრივის მკითხველისათვის. სწორედ ასეთსავე უეჭველ ჭეშმარიტებად უნდა სცნოთ ისიც, რომ ხალხისათვის რიგიანის წიგნის დაწერა, თუ მეტადრე ეს წიგნი შეეხება სპეციალურს საგანს და მერე ისეთს სპეციალურს, როგორიც არის ექიმობა, ბევრად უფრო ძნელი და საფრთხილო საქმეა, ვიდრე ისეთის საექიმო წიგნის დაწერა, რომელიც გაგებულ და მედიცინაში განვითარებულის მკითხველისათვის არის დანიშნული. ამაზე უფრო ვრცელი საუბარი შორს წაგვიტყუებდა. ამიტომ ვცდილობთ, მოკლედ მოვსჭრათ სიტყვა და გავაფრთხილოთ მკითხველი, რომ მოერიდოს იმ გვარს ყოვლად უვარგისს წიგნაკებს, როგორიც არის ბ-ნის ცხვედაძის ზემოხსენებული „ექიმობა და დარიგება“. მით უმეტესს საჭიროა სიფრთხილე, რომ ექიმობა სხვა საგანს არა ჰგავს: ის ეხება მეტად ძვირფასს საუნჯეს კაცისას, მის ჯანსა და სიცოცხლეს. გასაოცარია, გასაოცარი ბ-ნის ცხვედაძის გაბედულობა! გამოცდილი, განათლებული ექიმები ვერა კისრულობენ სახალხო რიგიანის საექიმო წიგნის შედგენას, და ის-კი წარბსაც არ იხრის და იძლევა წარა-მარა დარიგებას ისეთს საგანში, რომელიც მისთვის, როგორც ეტყობა, სრულიად უცნობი და გაუგებარია. ბ-ნის ცხვედაძის წიგნი რომ უბრალო თარგმანი იყოს, კიდევ არაფერი, თუმც კარგს, მეუცდომელს გადათარგმნას ყოვლად სპეციალურის წიგნისას, მეტადრე ჩვენს ენაზე, სადაც არც შესაფერი ტერმინებია და არც განვითარება, უთუოდ ესაჭიროება ჯეროვანი სპეციალური ცოდნა. ჩემის აზრით, საექიმო წიგნს, თუ არ ექიმი, სხვა ძნელად თუ გადასთარგმნის რიგიანად და მეუცდომელად. ბ-ნის ცხვედაძის წიგნი-კი, როგორც თითონ ავტორი ამბობს თავის წინასიტყვაობაში, თარგმანი როდია: „მწარე სადოდავი დედების ბედის მნახველს (უთუოდ ასე უნდოდა ეთქვა: სადოდავის დედების მწარე ბედის მნახველსაო) აღმძრა სურვილი, გადმომეთარგმნა საიდანმე მოკლე დარიგება ხალხურ ენაზედ ქალის ავადმყოფობაზედ ორსულობის დროს. ამიტომ ამოვირჩიე ფლორინსკის საექიმო წიგნი, საიდგანაც ამ ავადმყოფობის შესახებ ვიხელმძღვანელე და დავწერე პატარა დარიგებითი წიგნაკი წამლობითურთ!..» თარგმნას არ დასჯერებია, უხელმძღვანელებია და ის-კი დავიწყებია დალოცვილს, რომ კარგს მთქმელს კარგი გამგონი უნდა. ვრცლად ამ წიგნაკის გარჩევა არა ღირს შრომად. ეტყობა, რომ ავტორი ის ცხვედაძე უნდა იყოს, რომელმაც ამას წინად უძღვნა ჩვენს ლიტერატურას მეორე ამავე ღირსების წიგნაკი, სახელად „ვაცის ანატომია“. ორივე წიგნაკი ყოვლად უვარგისის და ცუდის ენითაა დაწერილი. მაგალითად, მთელი წიგნაკი გამოდგებოდა, მაგრამ ჩვენ წინასიტყვაობას ნუ ავცილდებით, რადგანაც იქვე ვპოვეთ საჭირო მასალას: „ჩვენ არა გვყავს ნასწავლი ბებიები, არა გვყავს ნასწავლი ექიმები ქართულ ენაზე, რომ მათ შეგვედგინონ მოკლე დარიგებით წიგნაკები ხალხურ ენაზედ...“ ეს „ექიმები ქართულ ენაზედ“ რაღაა! „გაურიოს ცოტადე ღვინო ყურძნისა“... ნეტა ყურძნის გარდა კიდევ რამ იცის ჩვენში ღვინო? რუსულად ამბობენ виноградное вино-ო იმიტომ, რომ რუსეთში არაყსაც (водка) ღვინოს ეძახიან. აკი მოგახსენეთ, კარგს მთქმელს კარგი გამგონი უნდა-თქო! არა თუ შედგენას, გადათარგმნასაც ცოდნა ეჭირვება, ენის ცოდნა მაინც! ენას თავი დავანებოთ, გავსინჯოთ შინაარსი და ვიკმაროთ ორიოდე მაგალითი. „ორსულობის დროს რამწამს (რა წამს) დაეწყობა (დაეწყება) სისხლის მდინარეობა საშვილოსნოდგან, ავადმყოფი უნდა დააწვინონ ლოგინში და დაალევინონ რამდენჯერმე ბანგი—ოპიო (ბანგი=ოპიო?) ხუთ-ხუთი წვეთი სამ საათში ერთხელ“... ნუთუ მართალია? ნუთუ ბანგი ოპიოს ჰქვიან და ყოველთვის, როცა-კი ორსულს სისხლს დენა აუტყდება, საჭიროა ოპიო, მერე უთუოდ ყოველთვის ხუთ-ხუთი წვეთი სამ საათში? ღმერთმა დაგვიფაროთ ამისთანა დამრიგებელისაგან, ჩემო მკითხველებო, ვამბობ გულ-წრფელად, როგორც კაცი, რომელსაც ცოტაოდენი დაეჯერება ამ გვარებში, რადგანაც ექიმი ვარ ხელობით. კიდევ კარგი, რომ ოპიო ასე ადვილად არ იშოვება და აფთიაქი ექიმის ხელ-მოუწერლად არავის მისცემს, თორემ თქვენი მტერი, რაც ბ-ნის ცხვედაძის რჩევა სიკვდილს დაჰმართებდა ორსულებს! „უკეთუ სისხლის მდინარეობა ძლიერი (ძლიერი) აქვსო,—განაგრძობს თამამი მკურნალი—მაშინ უნდა დაუცონ საშვილოსნოს მილში(!) დახვეული მძარში დასველებული ტილო...“ არა, ამას განმარტება აღარ ეჭირვება, ისეც ცხადია მისი შნო და ლაზათი! მართალია, საექიმო მეცნიერება ხმარობს ესრედ წოდებულს „ტამპონს“, მაგრამ ტამპონსა და იმას, რასაც ბ-ნი ცხვედაძე ბმანებს, შუა უზის დიდი ზღვარი. „აგრეთვე სასარგებლოაო,—არ იშლის დამწერი: პატარა მუცლის(?) დაზელა გოფმანის კაპლით“... «კაპლით მუცლის დაზელა» რაღა ღვთის რისხვაა!

„მშობიარობის შემდეგ ავადმყოფს ჩვეულებისამებრ საშვილოსნოდგან სდის წყალმანკიო“... საშვილოსნოდგან წყალმანკი! (წყალმანკი—водянка). არა, ბ-ნო ცხვედაძე, ეს მეტის-მეტია: დიდად დააკლებთ ქართველ მდაბიო ხალხს, რომ დაანებებდეთ თავს იმას, რაც, ცხადია, თქვენი საქმე არ არის. თქვენი წიგნაკი უნებურად მაგონებს კრილოვის სიტყვებს: „бѣда, коль пироги начнетъ печи“ და სხვ...

გრ. ვოლსკი

## უცხოეთი

იტალია. რომიდგან იუწყებიან, რომ საეკლესიო მთავრობას გამოუცია ახალი ცირკულიარი. ამ ცირკულიარის ძალით ეპისკოპოზებმა ყოველ გვარი ღონის-ძიება უნდა იხმარონ, რათა ამომრჩეველებმა ხელი მოაწერონ იმ ბარათზე, რომლითაც მიჰმართავენ იტალიის პარლამენტს და სთხოვენ თანხმობის აღდგენასა პაპსა და იტალიას შორის; აგრეთვე ისიც უნდა სთხოვონ, რომ პაპს დაუბრუნონ ყველა უფლებანი და უპირატესობანი.

ოსმალეთი. რუსეთის ელჩს ნელიდოვს ებრძანა გამოუცხადოს ოსმალეთს, რომ რუსეთს არ შეუძლიან ელოდოს სამხედრო კონტრიბუციის გადახდასა. ოსმალეთმა დაუყოვნებლივ უნდა გადაუხადოს ის ვალი, რომელიც ოსმალეთს დაედვა წარსულის ომის შემდეგ. ამ ამბავმა დიდად ჩააფიქრა ოსმალეთის მინისტრები თურმე.

გერმანია. რეიხსტაგს წარუდგენენ პროექტს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოემატოს ბაჟი პურის ხორბალსა. ამ საქმეს თვით მართებლობა იკისრებს. ამბობენ, რომ ბაჟის საქმეს ისე მოაწყობენ, რომ ახალი პროექტი სრულიად არ შეეხება ავსტრიასა და ავსტრიელ მიწად-მფლობელთა ინტერესებს. ავსტრიას არავითარი ზარალი არ უნდა მიეცეს გერმანიაში ბაჟის მომატებისაგანაო.

## წვრილი ამბები

— ბელგიაში მეტის-მეტად გამრავლებულან ვექილები. ვექილებს საქმე რომ ვერა უშოვნიათ-რა, სულ უბრალო მწერლებად შედიან თურმე სხვა-და-სხვა სასამართლოებში. წარმოიდგინეთ, მარტო ბრიუსელში 627 ვექილია თურმე უსაქმოდ და ეს რიცხვი-კი წლითი-წლობით მატულობს და მატულობს.

— ამას წინად ლუვრის ერთს დარბაზში პარიჟის საქვეყნო გამოფენის კომიტეტს წვეულება გაუმართავს ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრისა და გამოფენის სამის დირექტორისათვის. წვეულებას დასწრებიან სხვათა შორის მწერლობის ბევრნი წარმომადგენელნი საფრანგეთისა და ევროპის სხვა სახელმწიფოთა. მინისტრს დოტრემს უთქვამს, რომ გამოფენისათვის 1889 წელს სულ ერთიანად მზად ვიქნებითო. ეს გამოფენა დაანახვებს ევროპას, თუ რამდენად წინ წაიწია კულტურის მხრივ ამ უკანასკნელ ასს წელიწადში კერძოდ საფრანგეთმა და საზოგადოდ მთელმა კაცობრიობამაო. მინისტრებს უთქვამთ, რომ დიდ-ძალი წერილები მივიღეთ ევროპის სხვა სახელმწიფოთაგან, რომელთაც სურვილი აქვთ გამოფენაში მონაწილეობა მიიღონო.

— ბერნში დაუარსებიათ სისტემატიური კურსები ვოლაპიუკის შესასწავლად.

— ერთი ლეიპციგელი ვაჭარი ადგილობრივს სასამართლოს დაუსჯია, რომ 25,300 მან. უნდა გადაიხადო 2,090 ყალბის ვექსილის შედგენისათვისაო.

— ამ დღეებში დაიბეჭდება პირველი ნაწილი რენანის „Histoire d'Israël“-ისა. ეს „ებრაელთა ისტორია“ სამ ნაწილად იქნებაო, ამბობს გაზ. „Temps“-ი, და თითქმის წინა-სიტყვაობაა ეს სამი ნაწილი საფრანგეთის მეცნიერის ვრცელის თხზულებისა, რომელსაც სახელად „Les Origines du Christianisme“-ი ერქმევაო.

— ინგლისის ტახტის მემკვიდრე, ახალგაზდა პრინცი ალბერტ-ვიქტორი, შესულა ოქრომჭედლის დუქანში და მოარცხვად უთქვამს: მაჩვენეთ ისეთი სამაჯური, რომ მართებული იყოს იმისი ტარება და არც ძალიან ძვირად ჰღირდესო; ერთს ახალგაზდა არტისტ-ქალს უნდა ვუფეშქაშოვო. ხანში-შესულმა ოქრომჭედელმა ამოიღო თურმე და აჩვენა უბრალო, მაგრამ მშვენივრად გაკეთებული და მარგალიტით შემკული სამაჯური, და უთხრა: «ეს სამაჯური მოგეწონებათ, რადგან მახსოვს, რომ ამ ოც-და-ხუთის წლის წინად მამათქვენი მოვიდა, ამასაც სამაჯურის ყიდვა უნდოდა და მაშინ მოეწონა ეს სამაჯურიო». პრინცმა ალბერტ-ვიქტორმა გაიცინა თურმე და სამაჯური იყიდა.

— ძალიან კაცი ყოფილა რომის პაპი. ამას წინად ხომ თავის ძმისწულს თუ დისწულს ქალს ძალიან უსაყვედურა, რა არის, მაგ სიმაღლე შლაპა და მერე მაგდენის ბუმბულებით მორთული არ დაიხურო ხოლმეო... ახლა-კი გული გაუკეთებია თავის ნათესავის ქალისათვის. აი საქმე როგორა ყოფილა: მის უწმინდესობასთან შესულა დისწული და თან შეუყვანია თავის საქმრო ყმაწვილი-კაცი. პაპის სიამოვნებით უმუსაიფნია ახალგაზდებთან. მერე შესულა მეორე ოთახში და ისევ მალე გამოსულა. ვიდრე პაპი გამოვიდოდა, ყმაწვილს ქალსა და კაცს ეგონათ თურმე, რომ მალე არ გამოვაო და ჩუმად აკოცეს ერთმანერთს. პაპმა, რასაკვირველია, დაინახა ესა. ქალს შერცხვა, გაწითლდა და უთხრა თავის ბიძას: მოგვიტევეთ, რომ ასე გავკადნიერდით და შევბღალეთ წმინდა ადგილიო. პაპმა უპასუხა: არა, შვილო, არ არის ისეთი წმინდა ადგილი, რომელიც არ გააკეთილშობილოს წმინდა და უზაკველმა სიყვარულმა ახალგაზდებისამაო.

— ერთს მოგზაურს, რომელმაც გამოიკვლია მდინარე სანკურუ, როცა მოგზაურობდა მდინარე კონგოს ბასეინში, გაუცვნია ერთი ფრიად შესანიშნავი ხალხი, სახელად ბალუბა. თხუთმეტის წლის წინად ეს ხალხი სრულიად განცალკევებული სცხოვრობდა, ასე რომ აფრიკის სხვა ხალხებთან არავითარი საქმე და დამოკიდებულება არა ჰქონია. ამ გარემოებამ დიდი შფოთი გამოიწვია ამ ხალხის ყმაწვილ-კაცობაში, რომელიც ამტკიცებდა, რომ მეზობლებთან მისვლა-მოსვლა და კავშირი ჩვენის ხალხისათვის სასარგებლო იქნებაო. ხალხის უფროსმა ახალგაზდობის მხარე დაიჭირა, მაგრამ ძველმა თაობამ არ იყაბულა და წინააღმდეგობა გამოაცხადა. ეს ძველი თაობა იმ აზრს ადგა, რომ ნუ დავაგდებთ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა ამხანაგსაო; სხვა ხალხებთან ნაცნობობა და კავშირი სრულიად დაგვღუპავს და გაგვაანადგურებსო. ამიტომაც ატყდა შინაური ომი და ერთის მხრით ომობდა ძველი თაობა, მეორეს მხრით—ახალი, რომელმაც სრულიად ამოსწყვიტა ძველი თაობა და იწყო უცხოელებთან მისვლა-მოსვლა. ეხლა ამ ხალხში ვაჭრობაც ვრცელდება. რამდენისამე წლის წინად ამ ხალხმა გამოუცხადა ომი მთვრალობას და მთელს ქვეყანაში აჰკრძალა ღვინის კეთება და ვაჭრობა.

## გასართობი

ხშირად სულ უბრალო მიზეზი კმარა, რომ მთელი ოჯახი დაირღვეს, ამხანაგები შესძულდნენ ერთმანერთს, ცოლ-ქმარი გაიყარნენ და სხ. ეს მიზეზები ბევრჯელ და თითქმის რომ უმეტესადაც ისე უმნიშვნელო და უბრალოა, რომ სავოდევილო მასალად გამოდგება ხოლმე. აი ერთი ამისთანა ამბავიც, რომლის საწარმოებელ მოედნად ტფილისის ერთი უბანი იყო.

ამ უბანში სცხოვრობდნენ მშვიდობიანად ცოლ-ქმარნი ბევრის წვრილ-შვილით, ჯანს ეუბნებოდნენ ხოლმე ერთმანერთს და ჯანს გაიგონებდნენ. ქმარს გვარიანი ადგილი ეჭირა, საკმაო ჯამაგირს იღებდა და უდანაკლისოდ ცხოვრებდნენ. მაგრამ წყეული ბედი სულ ყოველთვის არ უღიმის ადამიანს, ერთს მშვენიერს დღეს ქმარმა კაი ადგილი დაჰკარგა და მცირე ჯამაგირიანს ადგილზე დადგა, რადგან იფიქრა—სულ არარაობას, ცალ-უღელი ხარი სჯობიაო. ქმარი ახალგაზდა, იმედებით სავსე ყმაწვილ-კაცია, კაცთ-მოყვარე და ისეთის შემბრალებელის გულისა, რომ „ტფილისის პირუტყვთ დამცველი საზოგადოება“ დიდის სიამოვნებით ამოირჩევდა საპატიო წევრად, იმის სახელი რომ სცოდნოდა. აი ეს ყმაწვილ-კაცი ერთს მშვენიერს დღეს დასეირნობდა ქალაქის ერთს რომელსამე ქუჩაზე, მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ერთს ციცქნატელა წუკიას კუდი ამოუბმევია და დაწრწის უპატრონოდ. ყმაწვილ-კაცს ძაღლი მოეწონა, დაუძახა, ხელზე მიიჩვია და წაიყვანა სახლში.

აქამდე ამ ამბავში თითქო არაფერია არაჩვეულებრივი და საკვირველი. კაცს ძაღლი მოეწონა და შინ წაიყვანა, რაო მერე? მოითმინეთ, ბატონებო, აი სწორედ საქმეც ამ ძაღლშია. ცოლს არაფრად ესიამოვნა ძაღლის მიყვანა. ერთხელ, როცა ქმარი სახლში არ იყო, ცოლმა ამოჰკრა პანჩური ძაღლსა და კუდ-ამოძუებულს თავი კარში უკრა. ეს იყო და ეს. მოვიდა ქმარი, მოიკითხა ძაღლი. ცოლმა უთხრა, რომ ამ გაჭირების დღეს ჩვენი თავიც ვერ შეგვინახავს, რა გვეძაღლებაო. პანჩური ვკარ და გავაგდე, იმის მუცელი-და გვაკლდაო. ქმარს ეს ეწყინა, ცოლმა სიტყვა შეუბრუნა, ქმარმა თავისი სთქვა, ცოლმა თავისი და გაჰყვნენ. გაბოროტებულმა ქმარმა ჰკრა ქუსლი და გარედ გამოვარდა; ცოლი სამშობლოსას გაიქცა.

იხინეს ამ ორმა სულიერმა, ქმარმა და ცოლმა. ქმარი ისევე დაბრუნდა სახლში დიდის ხნის სიარულის შემდეგ, უთხრეს—თქვენი მეუღლე სადღაც წავიდაო, დაავლო ხელი ცრემლ-მორეულ ყმაწვილებს, აიკიდა ბარგი-ბარხანა და გასწია სასტუმროში. ცოლმაც გული მოიბრუნა სამშობლოსას, მივიდა სახლში, ცარიელი სახლი დახვდა, დაიწყო ტირილი, ცრემლების ღვრა და ქმრის ძებნა. ბოლოს რის წვალებით მიაგნო სასტუმროში ქმარს, შეუვარდა, ასტყდა ერთი ალიაქოთი, კიდევ ცოლმა თავისი სთქვა, ქმარმა თავისი, შეჰყვნენ და ბოლოს... ბოლოს როცა ქმარმა მთელის ლიტრა წყლით გაცეცხლებული გული დაიმშვიდა, სთქვა, რომ ამდენს დავიდარაბას, სჯობს გავიყარნეთო; ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია, ტყუილად გავიმწარებთ და გავიბოროტებთ სიცოცხლესა და ამიტომ შენ შენთვის და მე ჩემთვისო. ცოლი დაეთანხმა ამ აზრს და ერთი მარცხნივ წავიდა, მეორე—მარჯვნივ.

ასე გათავდა ამ ცოლ-ქმარის ამბავი და ამ ამბის მიზეზი ოთხ-ფეხა-კი ჯერაც არ ვიცით, სად დადის კუდ-ამოძუებული, ამასთან არც ცოლმა და ქმარმა იციან, სად არის იმათის ოჯახის დამღუპველი.

## საგრამატიკო ესკიზი

### ზოგიერთი მოსაზრებანი ზმნაზე და ზმნის გამო

(ვუძღვნი ჩვენს პატივცემულ პროფესორს, ი. ღ. ოქრომჭედლიშვილს)

(შემდეგი *)

ეხლა ავიღოთ ის სახელ-ზმნა, რომელსაც პატივცემული პროფესორი ბ-ნი ცაგარელი პეტრიცისაგან წარამარად მოგონილ ფორმადა ჰრაცხავს. თუ იმ ზმნასაც ექმნება ამ გვარივე წარმოება მდგომარეობით ხმის ნამყო მიმღეობისა, მაშინ დამტკიცდება, რომ უსათუოდ ენის თვისება ყოფილა, რომ ჩაემატოს სუფიქსი „ვ“-ისა.

ჰამა — ჰამ-ევა — ჰამევ+ილი—ჰმ+(ვი)ლი—ჰმ+ული. და-ფლა—და-ფლევა—და-ფლეილი—დაფლული.

მაშ საიდან ჩნდება ამ გვარ ზმნებში დაბოლოება „ული“, თუ პროფესორის სიტყვით „правила это искуственно для неопредѣленнаго наклоненія, плодъ келейной работы головы схоластика-грамматика“?

მე სრულიადაც არ ვამტკიცებ ამით, რომ სახელ-ზმნანი—ჰამევა, კენკვა, რეკვა სწორე სახელ-ზმნანი იყვნენ ეხლა. მხოლოდ აქ მსურს ვსთქვა, რომ ოდესმე ქართულ ენას არ ეხა-

*) იხ. „ივერია“ № 214, 215, 216, 217, 219.

მუშებოდა ალბად ამ გვარი სახელ-ზმნანი.

ხალხში ეხლაც-კი გაიგებთ ამ გვარ ლაპარაკს: ერეცხავ—რეცხავ, რეკავს—რეკავა და სხვები.

„ხალხი შექმნის ენას და არა ლიტერატურაო"—ამბობენ მეცნიერნი. ამ ჭეშმარიტებას არ იქნება კაცმა არ დაუმატოს შემდეგიც, რომ იგივ ხალხი არის და იქმნება ენის მტკიცედ შემნახველიც, რომ იგია წმინდა საცავი თავის შეუხავებელ, შეურყეველის ენისა და არა ლიტერატურა. ამისათვის როცა გვსურს გამოვიკვლიოთ რაიმე ჭეშმარიტება ენის შესახებ, უნდა პირველად მივმართავდეთ ხალხურ ენას—იმ ფორმებს, რომელნიც გაისმიან მარტო ხალხის ლაპარაკში და ეხამუშებათ მწიგნობრებს. ვერც ერთს ფილოლოგიურ სამეცნიერო შრომას ვერ იპოვნით უცხო ენაზე, რომელშიაც ხალხურ ენას არა ჰქონდეს მიქცეული ავტორის უმაღლესი ყურადღება.

§ 8) მიმღეობა ზმნეპისაგან სუფიქსით „ებ", „მ" აგრეთვე ამტკიცებს, რომ «ბ»-ისა და „მ"-ის შემდეგაც ჯდებოდა სუფიქსი „ვ", მხოლოდ შემდეგში დარჩენილა მარტო მიმღეობაში. თუმცა ორიოდე ფორმა ზმნებისა კიდევ მოიპოვება, საიდამაც ამ გვარის ზმნების წარსული ნათლადა სჩანს, მაგალითად, მნებავს, თითქოს სახელ-ზმნა იყვეს „ნებვა".

როცა-კი „ბ"-ს, ანუ «მ»-ს მოუძღვის წინ „ო", მაშინ „ვ" აღარა ჯდება, ენას საჭიროდ აღარ უცვნია იგი, რადგანაც მათ მოუძლვით „ო", რომელიც თითქმის იგივე „ვ" არის (ვ, მ ადვილად გადადიან „ო"-ზე [7]).

აი სწორედ ამის მიზეზით ყველა ზმნებს სუფიქსებით «ებ», „მ" მდგომარეობთ ხმის ნამყო მიმღეობაში აქვთ დაბოლოება «ული» და არა ილი:

კეთდება—კეთებული
შეგნება—შეგნებული
გდება—გდებული
შეწუხება—შეწუხებული
ანთება—ანთებული
მიძინება—მიძინებული
დადგმა—დადგმული
შეჭმა—შეჭმული
აბმა—აბმული
მოსმა—მოსმული
წასმა—წასმული
დაცმა—დაცმული.

მხოლოდ ზმნებს სუფიქსით „ობ", ექმნებათ კანონიერი დაბოლოება „ილი":

თბობა—თბობილი
პყრობა—პყრობილი
გმობა—გმობილი
შეწყობა—შეწყობილი
მოთხრობა—მოთხრობილი

იმავე მიზეზით იქმნება:

მონდობილი
მიდგომილი

და არა:

მონდომული
მიდგომული.

§ 9) შესანიშნავია აგრეთვე იმავე მიმღეობის წარმოება ზოგიერთ ზმნებისაგან, საცა ძირის ასოები იცვლიან ადგილს:

მოკვლა—მოკვლ+ილი
მოკლ+(ვი)ლი—მოკლ+ული
ხვნა—ხვნ+ილი
ხნ+(ვი)ლი—ხნ+ული
დაკვრა—დაკვრ+ილი
დაკრ+(ვი)ლი—დაკრ+ული.

---

[1]) სი-ტყვ-ა—ი-ტყო-და, თქმ-ა (ტ=თ, ყ=ქ). მა-ქვნ-ს—სა-ქონ-ელი, მ-ქონ-ია(ი+ერს) მე-ქვნ-ებ-ა—ქმნ-ადი მ-ყვან-დ-ა—მ-ყოლ-ია—ნა-ყოლ-ევი ნა-ყმლ-ევი, ნა-ყმ-ევი (ყმა).

არ არის აგრეთვე უინტერესო სიტყვა „ქოლილი", რომელიც წარმოსდგა ორის სიტყვისაგან.

ქვა+ვლილი—ქო+ვლილი
ქო+ლვილი—ქო+ლილი
(ქოლულის მაგივრად, «ვ» დავარდა).

§ 10) ამ სიტყვებმა გაგვაცნო მეორე თვისება ქართულ ენისა, რომ მარცვალი „ვა" ხშირად გადადის ერთ ხმაზე „ო", მაგალითად ვამბობთ: ხვაიშანი—ხოიშანი, გრგვალი—გრგოლი, ბვარუკი—ბორაკი, ხვარბალი—ხორბალი, გვარჯილა—გორჯილა.

როგორც აგრეთვე „ო"-იც გადადის მარცვალ „ვა"-ზე:

ხორშა—ხორშაკი—ხვარშაკი
ძლოლა—მო-ძლ-ოლ-ი
მო-ძლ-ვარ-ი [8])
ყოლ-ა—მ-ყვან-და
მ-ყვან-ს—მ-ყავ-ს
ქონ-ა—მ-ქვან-ს
მა-ქვ-ს—მა-ქ-ს (მა-ხ-ს).

ეს თვისება ენისა ზმნის სამფლობელოშიაც დაჰბადებს ბევრ გაუგებარ ფორმას. აქ მსურს შევუდგე იმ ფორმების განხილვასაც.

ხშირად «ვ», რომელიც ეკუთვნის სიტყვის ძირს, ერთდება მესამე პირის დამაბოლოებელ „ა"-თან ერთხმად «ო», მაგალითად:

«სმა» (ძირი სიტყვისა არის „სვ", ამას ამტკიცებს ბრძანებით დახრის ფორმა „სვი", საცა თავის დღეში არ იხმარება „ვ" სუფიქსი, თუ არ „ვ", რომელიც ეკუთვნის სიტყვის ძირს. ამაზე უკვე გვქონდა ბაასი და აქ აღარ ვაგრძელებ ლაპარაკს).

ვ-სვ-ი—სვ-ა—ს(ვა)—სო
ვ-თქვ-ი—თქვ-ა—თქ(ვა)—თქო
მო-ვ-წვ-ი—მო-წვ-ა—მოწ(ვა)—მოწო
ვი-ცვ-ი—ი-ცვ-ა—იც(ვა)—იცო
ვი-სვ-ი—ი-სვ-ა—ის(ვა)—ისო
ვა-რქვ-ი—ა-რქვ-ა—არქ(ვა)—არქო
გა-ვჰ-ყავ-ი—გა-ჰ-ყავ-ა—გა-ჰ-ყა(ვა)—გა-ჰ-ყაო—გაჰყო.

როგორც აგრეთვე:

სმა (სვმა)—ტემა—„სვამ"
ვ-ს(ვა)მ—ვ-სომ
ს(ვა)მ-ს—სომ-ს
ვ-სვ-ამ-დე—ვ-სომდე
მე-სვა—მესო
მეთქვა—მეთქო
ვიცვამდე—ვიცომდე
მეცვა—მეცო
მერქვა—მერქო
ვ-სვ-ამდი—ვსომდი
სვმა—სვმილი
სმვილი—შესმული
ვიცვამდი—ვიცომდი
ცვმა—ცვმილი—ცმული.

კოტე დოდაშვილი

(შემდეგი იქნება)

---

[8]) „ლ" გადავიდა „რ"-ზე: თვალი—ვათვალიერებ, წყალ-ი—ვ-წყალ-ავ—ვ-ლწყ-ავ—ვ-რწყ-ავ, მარგალიტი—მარგარიტი, ამილბარი—ამირბარი...

# დეპეშა

20 ოქტომბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია შემდეგი უმაღლესი ბრძანება: წესად უნდა იქმნას დადგენილი, რომ წმ. ვლადიმირის მე-4-ე ხარისხის ორდენი იმათ, რომლებიც არ ეკუთვნიან აზნაურთა წოდებას, მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ოფიცრობაში უმსახურნიათ არა ნაკლებ ოცის წლისა და აქვთ წმ. ანნას ორდენი მე-2-ე ხარისხისა.

დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ წაბძანდა სკერნევიცაში.

ბელგრადი. წევრები სკუპჩინასი, რომლებიც მთავრობამ დანიშნა, თანაბრად აურჩევიათ ლიბერალებისა და რადიკალების დასებისაგან; ამ გარემოებამ კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი ამ ორ დასთა შორის.

პარიჟი. ლესეპსმა განაცხადა სამეცნიერო აკადემიაში, რომ პანამის არხი მზად იქმნება 1890 წლის სამს თებერვალსაო.

რომი. მასსოვიდგან იუწყებიან, რომ ინგლისის წარმომადგენელნი მიდიან ნეგუსთან მოსალაპარაკებლად იტალიისა და აბისინიის მორიგების თაობაზე.

ბუხარესტი. სამხედრო მინისტრმა მოსთხოვა პალატას კიდევ ექვსი მილიონი ფული ციხეთა და სიმაგრეთა გასაუმჯობესობლად.

21 ოქტომბერი

ლონდონი. საზოგადო საქმეთა სამინისტრომ, რომელსაც 16 ოქტომბერს უსაქმოდ დარჩენილმა მუშათა დეპუტაციამ მიჰმართა და საქმესა სთხოვდა, გუშინ უპასუხა, რომ ჩვენ კანონიერი ნება არა გვაქვს სამუშაო მოგცეთ რამე, გარდა იმ სამუშაოთა, რომელსაც პარლამენტი გადმოგვცემს ხოლმე საერთო ინტერესების დასაცველადაო.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ოქტომბ.

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 8 96 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 178³/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | 272³/₄ |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 246 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — » | — » | — » |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2876 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ოქტომბერი 31 დღით არის

22 დღე ხუთშაბათი. წმ. ამბერკისა და ყაზანის წმ. ღვთის-მშობლისა. კათოლიკეთ მსახურება უწმინდ. საიდუმლოზედ. სომეხ. წმ. ხარითიანთი, მოწ. არტემ, ქრის. ტეფორე და სხ. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა. წამებითი გარდაცვალება იმამის რიზასი (შიიტ.).—უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა, რომ ტფილისში გაიმართოს სამეტეოროლოგიო ობსერვატორია, 1850 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—35, ჩადის 4—52. მთვარე 18 დღისაა,


# ЯГОДНЫЯ и ФРУКТОВЫЯ ВОДЫ и „РУССКОЕ ШАМПАНСКОЕ ИМПЕРАТОРСКОЕ",

извѣстной фирмы въ Россіи и заграницей

## Н. П. ЛАНИНА,

**КОММИССІОНЕРА ОБЩЕСТВА РУССКИХЪ ВРАЧЕЙ ВЪ МОСКВѢ.**

Москва, Софійская набережная, собственный домъ.

Телефонъ № 764.

**ФИРМА СУЩЕСТВУЕТЪ СЪ 1854 ГОДА.**

Фирма удостоена **ВЫСОЧАЙШЕЙ БЛАГОДАРНОСТИ** въ 1875 году, права на полученіе **ГОСУДАРСТВЕННАГО ГЕРБА** въ 1884 г. и слѣдующихъ наградъ на

**Всероссійскихъ выставкахъ:**

1. Московская выст. серебр. медаль 1852 г.
2. С.-Петерб. выст. больш. серебр. мед. 1860 „
3. Московская выст. похвальн. отзывъ 1864 „
4. Московская выст. мал. серебр. мед. 1865 „
5. Московская выст. мал. серебр. мед. 1869 „
6. С.-Петерб. выст. бронзовая медаль 1870 „
7. Московская выст. больш. золот. мед. 1872 „
8. Высочайшая благодарность . . . . . 1875 „
9. Московская выст. больш. золот. мед. 1882 „

НОВАЯ ВЫСШАЯ НАГРАДА:

ПОЧЕТНЫЙ ДИПЛОМЪ съ правомъ на награжденіе

**ГОСУДАРСТВЕННЫМЪ ГЕРБОМЪ**

на Одесской выставкѣ 1884 г.

**Двѣ привиллегіи:**

1. Съ 1863 г. по 1873 г.
2. Съ 1872 г. по 1882 г.

**Иностранныхъ выставкахъ:**

1. Филадельфійская выстав. медаль 1876 г.
2. Филадельфійская выстав. медаль 1876 „
3. Парижская выст. почетн. отзывъ 1878 „
4. Амстердамская выставка медаль 1883 „
5. Бостонская выст. почетн. дипломъ 1883 „
6. Парижская національ. акад. дип. 1883 „
7. Ново-Орлеанская выст. поч. отз. 1884 „
8. Ново-Орлеанская выст. высш. наг. 1884 „
9. Антверпенская выст. зол. мед. 1885 „
10. Антверпенская выст. бронз. мед. 1885 „
11. Луневильская выст. первая нагр. 1885 „
12. Ново-Орлеанская выст. высш. наг. 1886 „

НОВЫЯ ВЫСШІЯ НАГРАДЫ:

13. Ливерпульская международн. выставка золотая медаль 1886 г.
14. Націонал., земледѣл. мануфактурн. и торгов. академія въ Парижѣ медаль перваго класса 1886 года.

Особенному вниманію потребителей рекомендуются всѣ сорта „**РУССКАГО ШАМПАНСКАГО ИМПЕРАТОРСКАГО**", по своимъ достоинствамъ не уступающіе самымъ высокимъ сортамъ заграничныхъ марокъ.

„**РУССКОЕ ШАМПАНСКОЕ ИМПЕРАТОРСКОЕ**", получившее всемірную извѣстность, приготовляется изъ самыхъ лучшихъ виноградныхъ винъ россійскихъ виноградниковъ и выпускается въ продажу не ранѣе 5—10 лѣтъ, послѣ тщательно-выдержки. Для этого имѣется всегда на складѣ не менѣе 70.000 ведръ виноградного вина самыхъ лучшихъ виноградниковъ и самыхъ лучшихъ урожаевъ.

**ЯГОДНЫЯ ВОДЫ** приготовляются изъ самыхъ свѣжихъ ягодъ и каждый годъ дѣлается огромный запасъ ягодныхъ соковъ, сохраняемыхъ во всей ихъ неприкосновенной свѣжести въ продолженіи цѣлаго года, при помощи изобрѣтеннаго и привиллегированнаго мною способа. Это и даетъ мнѣ возможность доставлять удовольствіе публикѣ пользоваться моими **ЯГОДНЫМИ** и **ФРУКТОВЫМИ ВОДАМИ** въ продолженіи всего года, всегда свѣжими и превосходнаго вкуса.

Нынѣшній обильный урожай ягодъ и фруктовъ далъ мнѣ возможность заготовить огромное количество соковъ самаго превосходнаго качества, что и даетъ мнѣ возможность удовлетворить моими **ЯГОДНЫМИ** и **ФРУКТОВЫМИ ВОДАМИ** самый изысканный вкусъ публики.

Не останавливаясь надъ улучшеніями и усовершенствованіями въ моемъ производствѣ, я примѣнилъ въ недавнее время для закупорки бутылокъ водъ вновь изобрѣтенный способъ, не употреблявшійся еще нигдѣ въ Россіи. Этотъ способъ дѣлаетъ закупорку бутылокъ совершенно герметическую и болѣе красивую и аккуратную, что даетъ возможность мои воды пересылать на громадныя разстоянія и въ жаркіе климаты.

При семъ прилагаю рисунокъ этой закупорки:



„**РУССКОЕ ШАМПАНСКОЕ ИМПЕРАТОРСКОЕ**" и **ЯГОДНЫЯ** и **ФРУКТОВЫЯ ВОДЫ** имѣются въ продажѣ во всѣхъ извѣстныхъ трактирахъ, ресторанахъ, гостиницахъ, колоніальныхъ и фруктовыхъ магазинахъ и винныхъ погребахъ въ **МОСКВѢ, С.-ПЕТЕРБУРГѢ, ВАРШАВѢ, ОДЕССѢ, ТИФЛИСѢ, ГЕЛЬСИНГФОРСѢ** и во всѣхъ губернскихъ и уѣздныхъ городахъ Европейской Россіи, Сибири, Закавказья, Царства Польскаго, Великаго Княжества Финдляндскаго и нашихъ новыхъ владѣній въ Азіи: въ Петро-Александровскѣ, Мервѣ, Самаркандѣ, Туркестанѣ, Ташкентѣ, Чикишлярѣ, Асхабадѣ, Коканѣ и въ Николаевскѣ на Амурѣ. Кромѣ того, въ недавнее время, открыта торговля и коммиссіонерство въ Константинополѣ (въ Турціи), въ Ханькоу и въ Шанхаѣ (въ Китаѣ).

## Примѣчаніе

Въ виду всѣ болѣе и болѣе усиливающагося сбыта моихъ произведеній, я нашелъ возможнымъ понизить цѣну на 50 коп. въ ящикѣ на минеральныя и фруктовыя воды въ полубутылкахъ, для текущей нижегородской ярмарки.

Николай Петровичъ **ЛАНИНЪ**

(2—1)


Доз. цен. Тиф. 21 октября. 1887 г, Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე